

1915 წ

გზაგადასვლა

იუმორისტული
— ჟურნალი

მეგობრები

№ 4

ფასი 10 კაპ.


1915

კვირა, 22 მარტი

1915 წ.

მ ტ ე ს ლ ა ბ ა

მანუჩი
22 მარტი 1915 წ
3 კაპ
23/14



О.И. ШЛИНГ
Согомонян «Сютчун»

თაგუნა. დახე, დახე! შე ეშმაკო,
ეგ რასა გავს, რა გიკირავს?
რა უზომო კირკიტაა!!
შენ უთუოდ ჩაგიკირავს.

ეშმაკი. არ მოგიკვდე! ზოგი კვერცი
კირკიტაა თავის თავად...
ხელში სწორათ დაიკორე...
მოამზადე დასაკრავად.

ქ ა ი რ ა თ ი

—ტრამვაის ვაგონში ჩაბრძანდით ბ-ნებო და პირდაპირ კარებზე მივიყუანთ.

ვურჩიე მე მათ, მაგრამ ისინი მინც ქვეითად ინებებდნენ სიარულს. ერთმა მათგანმა ყრუთ ჩაილაპარაკა:

—ოთხი ბილეთი აბაზი ღირს და ქალაქისათვის ესეც ფულიაო. ეს სიტყვები მწვავედ მომხვდა გულში. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, თუ რა დამზოგველი პატრონები ჰყოლია ჩვენს ღირს ქალაქს.

ისინი მიდიოდნენ ღრმათ ჩაფიქრებულნი. იღლიაში ანგარიში ქაღალდები ეჭირათ. იქვე ერთ მეგზოვეს შეეკითხვნენ:

—მეგობარო, ტრამვაის კანტორისაკენ ვერ მიგვასწავლი?

—როგორ არა, ბ-ნო, აი ასე ვაპყევით, შემდეგ მარცხნივ მიუხვიეთ და იქვე გამოჩნდება.

—გმადლობთ, გმადლობთ. — თავაზიანათ უთხრეს მეგზოვეს და გაუდგნენ გზას. მაგრამ (გულმავიწყობით რასაკვირველია) მარცხნის მაგიერ მარჯვნივ შეუხვიეს.

ტრამვაის კანტორა გგონებ აქეთ უნდა იყოს, შეეკითხა ერთი მათგანი სასტუმროს კარებიდან გამოსულ მოახლეს. გვინდა წარმოება ჩავიბაროთ და ადრესი ვერ გავიგვია.

—ტრამვაი დიდუე უში ვახლავთ. ამ ქუჩას დაადექით და შემდეგ დაბლა დაემვით.

—გმადლობთ. ახლა კი ვიპოვით მგონია.

გულმავიწყობა უბედურება სენია. დაადგნენ იმ ქუჩას, მაგრამ ქვეით დაშვების მაგივრათ ზევით აუხვიეს და სრულიად უცნობ უბანში გავიდნენ. ძვირფასი დრო კი ვარბოდა. უკვე თერთმეტი საათი შეიქნა და ისინი მხოლოდ ახლა მიადგნენ ვორონცოვის ხიდს.

—ტრამვაის კანტორა ვალმა არის, თუ გამოდმა? — ჰკითხა ახალგაზრდამ მეეტლეს.

—მობრძანდით, ბ-ნო, ესლავ მიგიყვან, მობრძანდით!

—უზრდლო, მე გეკითხები სად არის მეთქი და შენ რას მიპასუხებ. ასე გგონია შენთან სალაპარაკოთ გვეცალოს.

გულმოსულნი მობრუნდნენ უკან და აღექსანდრეს ბაღით ისევ გოლოვინის პროსპექტისაკენ შემოუყვნენ.

მე საშინლათ დამანტერესა ან ხალხმა; უსაქმო ვახლავარ და ავედღენე უკან. სახაზინო თეატრ-

თან ერთ მათგანს დაბლა ჩახვევა უნდოდა, მაგრამ მეორემ შეაჩერა:

—აბა საით მიდიხარ, თუ ღმერთი გწამს, ამ ვიწრო ღარში ტრამვაი როგორ გაეტევა?

ნაშუადღევის სამ საათზე ჩვენ საბებო ინსტიტუტს მივუახლოვდით. აქ ბ-ნმა არლუთინსკიმ ჯიბიდან საათი ამოიღო და შემთხვევით ტრამვაის უფაო ბილეთიც ამოაყოლა. გაფაციცებით მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და რაკი ვერაფერ შენიშნა, გულდამშვიდებით ჩაიღო ჯიბეში.

—ბატონებო, ჩვენ ვგონებ ავცდით გზას. მწუხარე კილოთი შენიშნა ქალაქის თავმა — სად ჯანაბაში წაიღეს ეგ ამოდენა დაწესებულება! ნემსი ხომ არ არის ამდენი ეძებო და ვერ იპოვო?

დაბრუნდნენ ისევ უკან და კარგა ხანი ბქობდნენ ზემელის აფთიაქთან, თუ საით წასულიყვნენ. მეუბნეთემ რაღაც შენიშნა და უთხრა:

—აი ამ ქუჩას აპყევით ბ-ნებო, იმ მთაზეა კანტორაო. მხოლოდ ამის შემდეგ დაპყვენ ისინი ვერის დაღმართს. ის ალაგი, სადაც ერთხელ ვაგონი დაიმტვრა ბევრ მათგანს ემცნაურა.

—ამ მოხვეულში გარეთა მხარე გზისა 13^{1/2} მილიმეტრით მაღლა უნდა იყოს შეგნითაზეო; შენიშნა ერთმა წვევრთაგანმა და წიგნაკშიაც ჩაიწერა.

მღვრმარეობა თან და თან უნუქვემო ხდებოდა. საღამოს 8 საათზე ყველანი სასტუმრო „ბომონდის“ წინ ვიდექით. მე პირდაპირ განცვიფრებაში მოვპყავდი ამ ხალხის ხასიათის სიმტკიცესა და საზოგადო საქმისათვის თავდადებას. მართალია წვიმა არა ყოფილა, მაგრამ საღამოთი ძლიერ აცივდა. ზოგი მათგანი უკალოშოთ იყო და ადვილი წარმოსადგენია რა დღეში იქნებოდნენ.

11 საათსა და 15 წუთზე, რის ვი ვაგლახით მიადგნენ გორგიჯანოვის კაფე-მანტანს. სასოება თითქმის წარეკვეთა ყველასა და კინაღამ შეუხვიეს ყელის გასასველებლათ. ბანი ჟურული დაქინებით მოითხოვდა ცოტა-ხნით დასვენებას:

შევეუხვიოთ, ბატონებო, ამით არაფერი არ დაშვდება. სხვა არა იყოს რა, შეიძლება დირექციის ადრესიც გავიგოთ. როცა ტრამვაის ბ-ნი ბელოი განაგებდა მისი ავტომობილი მუდმივ აქ იდგა.

ბ-ნი ჯაბარცი მომხრე იყო, — თკალს წყალი დავაღვეითო, მაგრამ აღექსანდრ ივანიჩმა თავისი გაიტანა და ნაშუადამევის პირველ საათზე მუშტაიდის ქუჩით აუხვიეს ზევით.

საბაღოსნო სკოლის წინ, მოულოდნელ ზბედურება დატრიალდა დაქანცულ ა. მ. არლუთინსკის ფეხი ჩაუცდა ოღრო-ჩოღრო ტროტუარში,

წაიქცა და თეძო ამოიგდო. ეს ამბავი მყისვე აცნობეს ქალაქის გამგეობაში დარჩოს და უბედურობის ალაგას გაჩნდა მშვენიერი ავტომობილი.

— აკი გადავწყვიტეთ, ალექსანდრე მიხაილოვიჩ, ამ ტროტუარის ქალაქის ხარჯზე გაკეთება! — ნაწყენი კილოთი უსაყვედურა მოლურავმა, მაგრამ არღუთინსკის აღარაფერი ესმოდა.

მხოლოდ 16 მარტს დილის ხუთ საათზე, ერთი კონდუქტორის დახმარებით მიავნეს ქალაქის მამებმა ტრამვაის დირექციას და მოსთხოვეს წარმოების გადაცემა.

— რის წარმოება, ბატონებო! — წყრომის კილოთი მოუჭრა დირექტორმა. — ახლა გვიანი არის ამაზე ლაპარაკი!

— როგორ თუ გვიანი! დილის ხუთი საათი და გვიანია? ბევრი ლაპარაკი არც ჩვენ გვიყვარს, ახლავე გადმოგვეცით, ახლავე!

— დრო ფულია! გთხოვთ მიბრძანდეთ! — კვლავ ცივათ უპასუხა დირექტორმა.

— აჰაა! მაშ უნარს გვეუბნებით არა? ძალიან კარგი. ვნახოთ ვისი გაიტანს, ჩვენ ვიცი ძალიან რით უნდა გავცეთ პასუხი. ჩვენ კანონიცა გვაქვს და სამართალიც. მშვიდობით!

ისინი გაჯავრებულნი გამოვიდნენ ქუჩაში და ბუზღუნით ჩასხდნენ დირექტორის მიერ თავიანთ მორთმეულ ავტომობილში, რომელმაც ხუთ წუთში მიაყენა დაქანცული მსახურნი თვითმართველობის კარებს.


ლარი.

ლაპითის მერანი

(სააღდგომო ხუმრობა)

ვილაცა მანემ,
ბრიყვა და ცუდმა,
მძარცველ-მგლეჯელმა,
ყაჩაღმა, ქურდმა,
მარშალს
და
სარდალს
ნიჟარაძესა,
დიდებულ დავით ოტიას-ძესა
ვერაგულ ზრახვით მოჰპარა ცხენი
და მიიძალა ის შესარცხენი.
მარშალს ვინ ჩასთვლის
კაცად უბრალოდ?
და, რაკი ცხენი
გაჰქრა უკვალოდ,
შეინძრა ვაკე და საყულია...
(მერანი თავადს
იქა ჰყოლია.)
მოდის და მოდის მოწერილობა.
(სამას სამოცჯერ მოხდა ყრილობა)
დაიმწყვედა ხალხი
ვინც იყო სოფლათ,
მარტო დავითი გადარჩა ობლათ,
მაგრამ მერანის
ვერ ნახეს კვალი.
(ცხადია ფხრებზე არ ეკრა ნალი!.)

ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა



ჯავშნიანი მატარებელი.

შეფიქრიანდა მთელი ქვეყანა,
 ველარ დათესეს
 ბაღჩა და ყანა;
 ქურდი ვინც იყო
 გასცეს სულუყველა,
 საქმეს კი ამან არაა უშველა.

როს მეოთხასე
 ენახე ყრილობა,
 მყის უკუვაგდე
 მე გულგრილობა
 და განვიზრახე: (ფიცს ვლებ ამაში.)
 წმინდა გიორგის
 მოვჰპარო რაში.
 მოვჰპარო რათაც უნდა დაშიჯდეს...
 მე მსურს იმ რაშზე
 დავითი იჯდეს,
 რომ საყულის ალალოს ხელი.
 (მე ამ საქმისთვის
 მარჯვე დროს ველი!

ეშმაკი.

ომი და მისი ისტორია

ერიქონის საყვირი.

რომ დიდასრულოა ჰირველი საფეხური ომის ისტორიისა, იძულებული ვარ ორიოდ სიტყვით მოვიხსენიო ებრაელთა მიერ ქ. ერიქონის აღება.

აღთქმულ ქვეყნისაკენ გალაშქრების დროს, ებრაელები პირველათ წააწყდენ საშინლათ გამაგრებულ ციხე-ქალაქ ერიქონს. ქალაქის ირგვლივ ამართული იყო ქვეებისა და კირისაგან რაღაც პიტალო, კლდის მავარი, კედელი, რომელსაც „გალავანს“ ეძახოდენ. ეს გალავანი ძლიერ მაღალი იყო და მასზე გადახტომა პირდაპირ შეუძლებელი.

ებრაელებმა დიდხანს უტრიალეს გარშემო ქალაქს, მაგრამ ამაოდ, შიგ შესვლა ვერ მოახერხეს. მეტი გზა არ იყო, — უნდა მგრა დაფიქრებულიყვენ და რაიმე ხერხი გამოეგონათ. ასეც მოიქცენ.

გააკეთეს გრძელ-გარძელი საყვირი ეგრედ წოდებულ მწარე კვახისაგან. თითო ებრაელ მღვდელს მისცეს თითო ასეთი საყვირი, გაამწკრივეს ჯგუფებათ, გა-

ო მ ი ს ი ლ ა უ ს ტ რ ა ც ი ა



სამხედრო თათბირი რუსის ოფიცრებისა გალიციაში.

მ ი ბ ა კ ვ ა

Handwritten signature: შიხიძე

უშვეს გალავნის გარშემო სალიტანიოთ და დააკ-
რეინეს საყვირი. საზარელი ხმაურობა დადგა! საყ-
ვირისაგან დამფრთხალი გალავნის კედელ-კოშკები
აქეთ-იქით წაიქც-წამოიქცენ და ებრაელები თავის-
უფლათ შებრძანდენ ქალაქში.

საყვირს, როგორც ასეთს, დღესაც ხმარობენ,
მაგრამ მისი დანიშნულება ახლა სულ სხვაა. ციხე-
სიმაგრეებს იშითი თითქმის არცერთი მებრძოლი
მხარე არ ანგრევს, ვინაიდან ახლანდელი საყვირი
გაკეთებულია თითბერისაგან და არა მწარე კვხე-
ბისაგან.

რომელი ქვეყნის მუზეუმში ინახება ნამდვილი
„ერიქონის საყვირი“ ჯერაც გამოურკვეველია მეც-
ნიერთაგან.

დარწმუნებული ვარ გულს დაგაკლდებოდათ,
თუ არ მომეხსენებია ისტორიაში ცნობილი ომი
ისუს ნავინისა და მზის ღლატი.


ეს საისტორიო ომი სწარმოებდა იმავ ებრაელ-
ფილისტიმლიანელთა შორის. დაიწყო დილით ადრე.
სადილობამდე ორივე მხარე თითქმის თანაბრათ
იბრძოდა, ხოლო სადილ შემდეგ სასწორი ებრაე-
ლებისაკენ გადაიხარა. მზეს ამ დრომდე სასტიკი ნე-
იტრალიტეტი ექირა და თანაბრათ ანაივებდა ორივე
მხარეს, მაგრამ როცა აშკარა შეიქნა ებრაელთა
გამარჯვება, ისუს ნავინმა მოსთხოვა მას ცაზე
შეჩერება, რომ ესარგებლა სინათლით და ამოეყლიტა
მოწინააღმდეგეთა ლაშქარი. მზე მცირე ხანს შეყოყ-
მდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ძალას
დამორჩილებოდა და ვიდრე ისუს ნავინმა სრულიად
არ შემუსრა მტერი, ის იდგა უძრავათ ცაზე და
პროექტორის როლს ასრულებდა ებრაელთათვის.

ფილისტიმლიანებზე, მნათობის ასეთმა ღლატ-
მა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და მის თაყვანის-
ცემაზე უარი განაცხადებია.

მოკიელი.

(შემდეგი იქნება)

ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა



**გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი ჰაერო-
კლანებთან საბრძოლო ზარბაზანით**

—ხედავ, ხედავ, იმ გზის პირას—
იტყვის შტერი, იტყვის შტერი, იტყვის შტერი:
გოგოს მივდეგ წამწამ—ხშირას
სართულოვან სახლის ძირას,
რომ დავყნოსო მისი მტვერი, მისი კაბის კალთის
მტვერი...

—დამიცადე, ქალო-ნაზო!—
იტყვის შტერი, იტყვის შტერი, იტყვის შტერი:
არ გინდა, რომ, ნორჩო ვაზო,
ჩემი გვარი გითავაზო?
ფეხი წავკარ ქვას ქუჩაში... დავიმტვერი, და ვიმ-
ტვერი, და ვიმტვერი...

გახსოვს, გახსოვს ის დრო ძველად,
ბორჯომელა, ბორჯომელა, ბორჯომელა,
ოდეს ყველგან: სახლში, ველად,
სადიდებლათ, სათრობელად
მეხვეოდა ხალხი ირგვლივ: ქალი, კაცი, ყველა,
ყველა!

სადღა არის ქალო-ნაზო,
ბორჯომელა, ბორჯომელა, ბორჯომელა,
ის დრო ძველი, ნორჩო ვაზო,
მსურს, რომ გვარი გითავაზო,
ჩემი გვარი გითავაზო— დელი დელა, დელიდელა,
დელიდელა!


რა ტკიბილია და თან მწარი
მოგონების ლურჯი კვალი, ლურჯი კვალი!
მაგრამ ეხლა სად, სად არი
ჩემი ნიკი, მუშტის დარი,
აჰ, რა ადრე დაიფშუკა! ჩემი ბრალი, ჩემი ბრალი!
შენც გამიბრბი, ქალო-ნაზო?
მეკარგება შენი კვალი, შენი კვალი!
მაშ არა გსურს, ნორჩო ვაზო,
ჩემი გვარი გითავაზო?
ნუ მიდიხარ, გულის ხაზო! ნუ მომკალი, ნუ მომ-
კალი, ნუ მომკალი!

ალვიდგინო მსურს სახელი,
ძველი ძალა, ძველი ძალა, ძველი ძალა,
ლექსის წერას მივყავ ხელი:
საავბორცო სადერდელი
ენა-მრუშსა ამეშალა, ამეშალა, ამეშალა!
არც შენ მოგწონს, ქალო-ნაზო,
ჩემი ლექსი, ნორჩო ვაზო?
ეხლა ვის-ღა ვუთავაზო?

სად წავილა? ხათაბალა! ხათაბალა! ხათაბალა!
 ხედავ, ხედავ, ამ გზის პირას —
 იტყვის შტერი, იტყვის შტერი, იტყვის შტერი:
 ქალს მივდევდი წამწამ-ხშირას
 ხართულოვან სახლის ძირას,
 რომ მეყნოსა მისი მტვერი, მისი კაბის კალთის
 მტვერი...

სად გაშეკეც, ქალო-ნახო, —
 იტყვის შტერი, იტყვის შტერი, იტყვის შტერი:
 არ გინდა, რომ, ნორჩო ვახო,
 ჩემი ლექსი გითავახო?
 ეხლა კი ვგრძნობ, რომ უდროოთ დაფიშტვერი და
 ვიმტვერი, და ვიმტვერი!

გრაფ ქოფაკიძე



უპაკთულო ღვაკაუზები

ოჩემჩირე. დინგიანთა ლაშქარმა უკვე აილა ჩვენი დაბის უმაჯრესი ფორტები. მთელი აღებული უბანი ტრანშეება აქციეს და თანაც წინ მიიწვევენ. ტაგუიაკობის რაზმი უკან იხევს. ამობოგენ ეს ტყის-ქათამაძის ხერხ-აო.

იქიდანვე. ადგილობრივმა ინტელიგენციამ გადასწყვიტა სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას და არაფითარ კულტურულ საქმეში მონაწილეობა არ მიიღოს.

იქიდანვე. ეშმაკის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას აქაური განყოფილება ჯოჯოხეთისა (იგულისხმებ წვრილი სახელოსნოები) აღტაცებით შეეგება. მანიფესტაციებს მართავენ და მოხალისეთა რაზმებს აღგენენ.

კულიანი

ხონი. მაკედონის საკითხმა აქაც იჩინა თავი. ადგილობრივი მოწაფეები აღექსახდრე მაკედონელობას ჩემულ-ბენ. უკვე დაამტკრიეს რამოდენიმე სკამეიკა.

ხეჩო.

ოზურგეთი. ერთ ადგილობრივ ვაქარს სამკითხველოში ქული შეუგდეს: — იქნება შეპყვესო. ვაქარმა იყვირა: — ქულს არ მიეკაროთ, მკენარი ახვევია, სახადი შეგეყრებათო. სამკითხველოს გამგემ ცოცხი მოსდკა და ქული გარეთ გაისროლა. ვაქარმა დასტაცა ხელი და მოჰკურცხლა,
 ანდაზა: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა.

ქუთაისი. ქალაქის სამხრეთ დასავლეთ ცის კიდურზე რალაცა ნათელი რკალი გამოჩნდა. მზე ახალი ჩასული იყო. ხალხი ძლიერ აღელვებულია. მეორე საღამოს რკალი უფროსი გამოჩნდა, ეტყობა თან და თან იმატებს. ამის შესახებ შეიხ-ულ-ისლამს მიწერა-მოწერა ჰქონია გამართული, ვისთანაც ჯერ არს.

ბაზა. გაქვირებულ ხალხს ესლა აკლდა: საშინლათ მძვინვარებს გადამდები სენი — „ფრაპი.“ რამოდენიმე ინტელიგენტი უკვე იხსვერპლა.

„ერიში.“

ხილისთავი (გურია) აღდგომის მესამე დღეს ადგილობრივ სამკითხველოში თავგები ებირებიან სალიტერატურო დილის გამართვას. პროგრამა შინარსიანია. იმედია ხალხი დაესწრება

ხვეი. (გურია) ამ დღეებში აქ საზარელი ამბავი დატრიალდა: ჯორმა გაღმოაგლო მღვდელი სე-პიონ არშიყაძე და თავი დაუზიანა. ექიმებმა გასინჯვის დროს თავში აღმოაჩინეს უბატენტო ღვინის სარდაფი, რომელშიაც შანსონეტკები მსახურებდენ.

მღვდელი და ქალებიც პასუხის-გებაში არიან მიცემული.

მ. აღამიძე.

ომის ილიუსტრაცია



გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი გერძვის ფრანგთა ჰაეროპლანს.

პ ი რ ვ ე ლ მ ა რ ტ ი დ ა ნ

ქალაქ თბილისში

გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

ბზაღლი მართარაბი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თავყუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია და გ. მ. მახარაძე.

თანამშრობლები — ალბურონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თავუნა, კენტი, კვინწარი, კოლო,
მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიძე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე შ.,
შმერლინგი, ჩიორა, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.


ჟურნალის ფასი — 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ბზაღ მართარაბში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადება, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

ჟურნალის მახლობელ ნომრებში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის საუკეთესო ილიუსტრაციები.


რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრობლებს, მასალა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ. *)
Контора „Гантиади“.
Почтов. ящ. № 21.
Михайловск. пр. № 18.
(ბ. ლი მართარაბისათვის).



*) ეს აღგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყეს მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილს რედაქცია არ დაიხსნის


კლანება თფილისი



ქალ. მოურავი. რიც უნდა რა იყოს,
 კარგი ვარ, ავი ვარ
 დღეს ჩვენი ქალაქის
 ნამდვილი თავი ვარ.
 და თუ სხვა გამოჩნდა
 ამ ქვეყნად თფილისი,
 მე, როგორც ასეთი
 თავი ვარ იმისი.
 მსურს ფრენით გარდავლო
 ზეცისა წიაღი,

და ვნახო ახალი
 თფილისის ციავი.
 ვნახო და გადავსცე
 მას თქვენი სალამი,
 ვნახო და აღვმართო
 იქ ჩვენი ალამი.
 (მუნ დარჩენილები
 მღულარეთ სტირიან,
 რამეთუ სამშობლოს
 ეგ მსხვერპლი სტირიან.)

ნეიტრალიტეტი



გამაცდილი ვაჭარი. პოლიციემისტერი უპრავას ეჩხუმოს ნიხრის შესახებ, რა ჩვენი საქმეა. ჩვენ ნეიტრალიტეტი დავიჭიროთ და საკუთარ ფასებში ვყიდოთ.

მ ი ს ლ ო ც ე ბ ი

„სამშობლო“

უშნოთ ფერი გაუხუნდა
 «იას» ვარდთა შესაწონარს...
 და „ეკალი“ ქეშმარიტათ
 ჰგავს გრიგოლის «ნაკოცონარს».

„თემი“

რედაქტორი, — ხელოვანი,
 გაზეთი, — ფრთა ბრტყელოვანი;
 შინაარსი, — თხელოვანი.
 კრელი და სულ ლელოვანი.

კლანება თფილისი

(მეცნიერული შენიშვნა).

ასტრონომს ნეუმინს მარსსა და იუპიტერის შუა აღმოუჩენია ახალი პლანეტა. რადგანაც ეს ასტრონომი ტფილისშია დაბადებული, საშუალო სწავლაც აქა აქვს მიღებული და საერთოდ ბევრი მისი მოგონება დაკავშირებულია საქართველოს დედა ქალაქთან, ამიტომ ასტრონომ ნეუმინს ამ პლანეტისთვის სახელად დაურქმევია „ტფილისი“.

„სახ ფურც.“

შემოადრინული ცნობა თითქმის უყურადღებოთ იქნა დატოვებული. ერთი შეხედვით ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, — ვის რა შევქვით უნდა და „ზეციური თფილისი“, როცა საკუთარიც ვერ მოუხმარია.

მაგრამ ეს შემცდარი შეხედულება საგანზე და მე ნებას არ მივცემ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს საქმე მიაფუჩეონ. მე სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ თუ მთელი გამგეობა არა, ბ-ნი მოუზავი ქ. თფილისისა, პატივცემული ალექსანდრე ივანიჩი ხატისოვი, უეცველ აპირებს ახალ პლანეტაზე გამგზავრებას.

რასაკვირველია, ქალაქის ინტერესებს რომ საფრთხე არ მოელოდეს ვინ იქნება ასეთი საინტერესო მოგზაურობის წინააღმდეგი. ჯანაბას ჩვენი თავი, ობლობასაც შეეფურცდებით, მაგრამ აქ საქმე სხვა მხრივ არის საგულისხმიერო და სწორეთ ამაზე მსურს ორიოდ სიტყვა ვიქონიო.

ამ ათიოდ წლის წინათ, როცა სამოთხესთან ფარული დამოკიდებულება მქონდა, ხშირათ მიწვედა იმ უბნებში ნავარდი, სადაც ახალი პლანეტა «თფილისი» დასცურავს. მართალია, მე იმას პირადათ არსად გადავყრივარ, მაგრამ მისი პიროვნება არც გვაინტერესებს დღეს-დღეობით. მე მინდა ავუხსნა ქალაქის ფინანსთა გამგე კომისიას, რამდენ ფულსა და დროს (დროც ხომ ფულია!) მოითხოვს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, თუ ალექსანდრე ივანიჩმა მასზე ხელი არ აიღო.

ჩვენი ქალაქიდან «ციურ თფილისამდე» გზა სოფელ წყნეთზე მიდის. აქედან უკვე აუხვევს ზეცად და წავა პირდაპირ მთვარისაკენ. შეიძლება ესეც ქორია, მაგრამ დაჟინებით მოგვითხრობენ მფრინავ ქებურთაზან მოლაპარაკების შესახებ. ბ-ნი მოუზავს მისთვის შეუკვეთია ახალი მონოპლანი ბლერიოს სისტემისა, სახელათ „შეფარდენი“, ამ სახითათო და შორეული მგზავრობისათვის.

მანძილი, რომელიც უნდა გადაინავარდოს ბ-ნმა ქებურთაზან ძველიდან ახალ თფილისამდე, არც ისე მცირეა. ის უღრის დაახლოებით 280,000,000 ვე-სს. ეს რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ ციავი «თფილისი» ბ-ნი მოუზავს სახლში დაუხვდა და თავის ობიტაზე არ დარჩა სამგზავროთ წასული.

ორას ოთხმოცი მილიონი ვერსი ისეთი მანძილია, რომელიც თვით უწარჩინებულეს ქარხველ მოგზაურს (რომელსაც შემოვლილი აქვს არა თუ გარეთ კახეთი, არამედ საინგილოც) გავლილი არ ექნება. ამიტომაც იძულებული ვარ ამ მანძილის გასათვალცხადებათ სხვა მაგალითებს მივმართო.

წარმოვიდგინოთ, რომ ბ-ნი ქებურთაზან „შეფარდენი“ წუთში თითო ვერსს, ანუ საათში 60 ვერსს გადის. თფილისის ტრამვაისთან შედარებით, რომელსაც სადგურიდან ერევის მოედნამდე ორი და ხან სამი საათიც აგვიანდება, ეს გააოცარი სიჩქარეა. და წარმოვიდგინოთ, ასეთი სიჩქარის დროსაც ბ-ნი ხატისოვის პლანეტა თფილისამდე 494 წელი შემოაგვიანდება.

— ვაა! ვაა! ვაა! — უნებლიეთ გაიოცებს ყოველი მართლმორწმუნე მოქალაქე თფილისისა.

დიახ, ბ-ნებო, 494 წელი! მაგრამ განა გავიანოლა ამდენს ხანს დაუსვენებლივ ფრენა? ხომ საჭიროა, რომლივ მთვარეზე, ან კუდიან ვარსკვლავზე შესვენება, ჩაის დაღვევა, და თვალის მოტყუება. აშკარა მეზობელ პლანეტებთან ჩვენი მეგობრული განწყობილება უნდა ვიქონიოთ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგაც ალექსანდრე ივანიჩს გული არ მოუთმენს დეპუტაციებს სიტყვით არ მიესალმოს. ალ. ივანიჩი მუდამ მომხრე იყო „ნორმალური დასვენებისა“ და ჩვენც უნდა მივსკეთ სამ წელიწადში 2 თვის თავისუფლება მაინც. ეს კი მთელი მგზავრობის დროს 31 წელიწადს შეადგენს. ამგვარათ, სოფ. წყნეთიდან ზეცის „თფილისამდე“ ჩვენს მოუზავს სულ ცოტა 525 წელი დააგვიანდება.

ბ-ნებო! როგორც მოგხსენდებათ საშუალო ხანგრძლივობა ადამიანთა ამქვეყნიური არსებობისა უღრის 75 წელიწადს. მართალია ზოგიერთები მეტსაც სძლებენ, მაგრამ ეს შეცდომაა. წარმოვიდგინოთ, რომ ბ-ნი ალექსანდრე ივანიჩი I და მფრინავი ქებურთაზან თითო წლის ბავშვები არიან და 1916 წლის პირველ იანვარს გაუხვევენ გზას. მე 75 წლის დამღვეს ე. ი. 1992 წელს მათ ექნებათ გავლილი მხოლოდ ერთი მეშვიდე*) ნაწილი გზისა. აქ იმათ

*) ჩვენს მთვარეზე ისინი იქნებოდნენ პირველი ე. ი. 1916 წლის აგვისტოში.

ეყოლება შვილი ივან ალექსანდროვიჩი I და თითონ დაიხოცებიან.

ალექსანდრ ივანოვიჩი ანდერძათ გადასცემს თავისს მემკვიდრეს, თუ როგორი სიტყვით მიმართოს მან ახალ „თფილისს“. მაგრამ წარმოიღვინეთ მანძილის უკუღმართობა:

75 წლის შემდეგ ე. ი. 2142 წელს გარდაიცვლება ივან ალექსანდროვიჩ I და გზას განაგრძობს ძე მისი ალექსანდრ ივანოვიჩი II. ასე ეკვლება თაობა თაობას, ვიდრე არ დადგება 2440 წელი. საფრენ „შევარდენზე“ ამდროს აღმოჩნდება ალექსანდრ ივანოვიჩი IV, რომელსაც ექნება ბედნიერება იხილოს პლანეტა „თფილისის“ მშვენიერება და გადასცეს მის მკვიდრთ უგულითადესი სალამი საქართველოს ძველი სატახტო ქალაქისა.


ბატონებო! თითოეული თქვენგანი აშკარათ ხედავს, თუ რაზომ დიდი მანძილი გვაშორებს პლანეტა თფილისიდან. ცხადია დიდ მანძილს ხარჯიც დიდი დასჭირდება. მართალია ბატონ მოურავს თან ექნება მხოლოდ ერთი ნაბადი და რამოდენიმე ლექსიკონი*), მაგრამ მფრინავი ქებურია ვერსზე თითო კაპიკს მაინც მოითხოვს. დღეს ბენზინის სიძვირეა და ნაკლების შეძლევა უსამართლოებაც იქნებოდა. ასეთი სამართლიანი ფასი შეადგენს 2,800,000 მანეთს. ამას თუ მივუმატებთ „სუტოჩნის“ 25 მანეთს, გამოვა სულ ექვს მილიონ (6000000) მანეთზე მეტი. ეს კიდევ არაფერია ბატონებო. ქალაქის მოურავი ხომ უნდა დაბრუნდეს? მართალია ქებურიას „შევარდენს“ დაბლა დაშვება უფრო სწრაფათ ეხერხება, მაგრამ დრო და ხარჯი თითქმის იმდენივე იქნება საჭირო.

2965 წლის მიწურულში, ე. ი. დაახლოვებით 1050 წლის შემდეგ კოჯორის მთის წვეროზე გამოჩნდება რაღაც ახირებული პეპელა. ხალხი მას დაიქერს და პეპელაზე მოკრუნხულ ახირებულ ტიპებს მაშინვე მუზეუმში გააქანებენ.

თუ ეს ნომერი ჩვენი «ახალი მათრახისა» იმ დრომდე შეინახა (რასაც ვირვლია არა წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმში, სადაც ძვირფასი ხელთნაწერები ხშირათ იკარგება) იმ დროინდელი ქალაქელები ადვილად იცნობენ ჩვენი საქართველო მოურავის შორეულ მემკვიდრეს, პლანეტა თფილისიდან დაბრუნებულ ალექსანდრ ივანოვიჩი VII-ს.

ეშმაკი

*) იხილე კარტიკატურა გვერდი 8.




ღ ა რ ი ბ ე ზ ა

ერთ გლესს ზამთარში
დააკლდა ჩაღა, —
პირუტყვის სარჩო
ხმელი მასალა, —
თოვლმაც განძრევა აღარ აცალა,
მოადგა კარზე და მოაძალა.
გლესს, თუმც პირუტყვი
ბევრი არ ჰყავდა:
(ზედმეტ საქონელს არ ინახავდა.)
უღელი ხარი, ძროხა მეწველი,
ერთიც ღორი და .. მორჩა, გათავდა,
მარა ამათაც ჰამა სჭირა,
(თითო რქოსანთან თითო პირია)
და როს ხედავი
ბღავის, გაჰკივა
--ჰამა მინდარ, დგას, შემოგჩივა,
რომ სიმშლისგან
მას კუჭი სტკივა,
ამ დროს არ მაქვსო ჩაღა, ან თივა,
სულ რომ იძახო აღარ გაგევა!
თუნდაც, რო მოკვდე უნდა იშოვო,
ვინ დაგიჯერებს, რომ თოვს და გცივა.
შეშინდა გლესი,
ელევა ჩაღა,
წახდა „ყაძახი“ და მოიშალა.
იმედ წასულმა შესჩივლა მამას:
(ყველა ჩვენგანი იქმოდა ამას)
მელევა თივა...
არ მეგონაო!..
ჩაღაც ცოტა მაქვს, —
ასი კონაო!
აწ სით წავიდე
მითხარ რა მხრითო,
რომ ჩაღა თივა
გამყვეს ზამთრითო?
მამამ მიუგო:
— ცუდია ესო,
მარა ეწამელის ამგვარ საქმესო.
მოღვესე კარგათ
გრძელი დანაო,
დაჰკალ ხარები,
ძროხაც თანაო.
ხორცს ხორცად იხარ,
ტყავსაც ტყავადო,
საქმეც გაწყვება
თავის თავადო.

არ დაგვირდება მათი კვებაო,
და თივა, დიდხანს გამოგყვებაო!

ვინც მისთვის მოსპობს ხარსა ღ ძროხას
გადავარჩენო ჩალოს და თივას,
რაც მან ოჯახი აავოს ამით,
ნუ მინაწილებს სიმღადრეს იმას.

ა. ბლიკვაძე



უ ა რ ა ლ ა

ნაცვალ-სახელი იპოვეთ
პატარა, ერთ მარცვლოვანი,
და ისე დამისურათეთ,
წინ დარჩეს ასო ხმოვანი.

მას იარაღი მიეცით
მკერდისა გასაგმირავი,
ორბის ფრთა განაყოლები,
ფოლადით მონაპირავი,
და მზათ იქნება სახელი,
რაც პირზე აკრავს ყველასა,
ვინაც მიუგდო საკენკი,
ჩვენებურ კუდა-მელასა.

კოლო.

ომის ილიუსტრაცია

მ ი ს ა ლ ო ც ე ბ ი

„სახალხო ფურცელი“

მღვდლის ცოლი,
მღვდლისა ასული,
გემოვნებაზე ჰკილია...
რობაქიძე, თუ „კოცონი“
ორივე მოსარიდია.

«თეატრი და ცხოვრება»

ზოგს თვალწარბსა უწონებენ...
ზოგიერთებს ცხვირს და ყურებს...
ნეტავ ვინ სწერს
ამ ჟურნალში
„საუცხოვო მეთაურებს?“



ბელგიის მეფე ქ. ლიეჟის ქუჩაზე ნემცებთან
ბრძოლის დროს.

ფოთიდან.

სალამი დიღო ეშმაკო,
სარდალო ჯოჯოხეთისა,
ზეცით გამწყრალო, ამ ქვეყნად
განაწესებო ღმერთისა!

დიღიხანია გელოდა
ჯოჯოხეთისა ჯარები,
ნუ თუ უფალმა, ვით ზეცად,
აქაც დაგიშო კარები?

ბოროტ სულების მძებნელო,
საკუბრეთისკენ მავად-თა
ნება მიბოძეთ მოგართვა
სია ფოთიდანც მრავალთა.

განგებ ნაჩვევი ხმოსნები,
მიხა თედორეს წყალობა,
თვითმართველობის დარბაზში
რომ ნახო მათი „გალობა“,

რა ბრძანებაა, ჯოჯოხეთს
სულ დაგავიწყებს ამათი
სიტყვის თქმის ნების აღება
და შერეული კამათი,

უმრავლესობა შესდგება
მიკიტნებ სტოროჯებიდან,
ხალხში მოღვაწეთ ნაკურთხი
კოსტა კირილეს ქებიდან

ერთმა სთქვა: რა საჭიროა
უთანხმოება და „სპორიო“,
რასაც უფროსი გვიბრძანებს
იგი იქნება სწორიო.

„ნიშნად თანხმობის“ ხმოსნები
შეირხენ, თავი დაჰხარეს,
ხმა მარგალიტი კენჭები
ნაჩვენები მხრით ჩაჰყარეს.

მეორემ გვიან იკითხა,
რა კითხვა იყო ესაო,
ხმას ვაძლევ მარა არ ვიცი
კრებამ რა დაწესაო.

კოწიამ უთხრა ღიმილით:
დრო აღარ არის კითხვისო,
კოსტა აგიხსნის შემდეგში
ოქმი რომ წაიკითხვისო.

გარდა სამის თუ ხუთისა,
ასეთ ხმოსნების ამარა
კოსტა, კირილე, თედორემ
ქალაქი დასამარა.

ბათლომე, მიხა, გევიძე
უკითხავს სულთათნისა
მეველე კიდევ არა სჩანს
ჯოჯი ესევა ყანასა.


მიიღე ქაჯთა მთავარო
ვედრება მცხოვრებლებიდან,
გარევე თქვენი მათრახით
თვითმართველობის კრებიდან

ქალაქის საქმეებისთვის
ვინაც ზედმეტი ბარგია,
ვინც მკვდრებს აკლია და ცოცხლებს
კიდევ არაფრად არგია.

ბუტუნა



ომის ილიუსტრაცია



გერმანელები ქ. ბრიუსელში.

კოშონი

(ფრანგული პაროდია)

ხედავ, ხედავ ვიღებ ღირას
 კობტა ბერი, კობტა ბერი კობტა ბერი...
 უკან უკან მივდევ ცირას
 რკოთ დატვირთულ მუხის ძირას,
 რომ ავტეხო, რომ ავტეხო, და დაე-
 ტეხო კოცნის მტერი, კოცნის მტერი...
 ჩემო ცირავ, მე ვარ ვაჟი,
 გავიბუტე უღვაშ წვერი, უღვაშ
 წვერი, უღვაშ წვერი...
 რომ მიღგება ნე რიყრაჟი
 ქალბთან ვარ მე გიყმაჟი.
 მოდი, ქალო, გაქმევ კოშონს დაი-
 ძერი, დაიძერი, დაიძერი..

ჩემსა ლექსსა იცნობს ხელოდ —
 პარიზელა, პარიზელა, პარიზელა,
 და ლექსებსა შენ სასმენლად
 მათქმევენიებს იგი ძნელად...
 მოდი იქვეც მხეც ცხოველად და
 შესქამე პარიზელა, პარიზელა...
 მომეხვიე ბერს, შექალო, —
 და მაკოცე, და მაკოცე, და მაკოცე,
 მაგრამ დიდხანს არ მაწვალო.
 თავზე ხელი, ჩემო თვალო,
 ხელი ნელა და მაკოცე, და მაკოცე,
 და მაკოცე .

რა თბილია რა თბილია
 შენი ხელი, შენი ხელი, შენი ხელი...
 ქალო, ხედავ რა წვრილია, რა წვრილია
 და თან კიდევ რა ტკბილია ჩემი
 ყელი, ჩემი ყელი, ჩემი ყელი...
 რითმა შიგ ჩქეფს ვით მაქარი:
 რკალი, ქალი, რკალი, რკალი,
 თეთრი რკალი, თეთრი რკალი...
 ეხლა მუხა დამივარი,
 იქ ლექსს დასწერს ჩემდა გვარი
 თავ ტიტველა, ძირმაგარი, ძირმაგარი
 ძირმაგარი...

არ მომტეხო, ქალო, ძვალი
 არც ვაჟი ვარ და არც ქალი...
 თუ შენ მართლა ირიყრაჟებ,
 მე შენთან ვერ ვიგიჟმაჟებ.
 მერ არ ძაღმძის... ვაი ბრალი, ჩქიმი
 ცოდო სკანი ბრალი...
 ჩემი გრძნობა წაიშალა,
 ლექსის წერით დაიღალა,
 ღმერთმა იმ ქალს დააქალა,
 მომშორდა და დაიშალა...
 მეშინია, დამწვი კოცონ!
 ქართველ ქალებს ჰსურთ მაკოცონ,
 ჰსურთ მაკოცონ, ჰსურთ მაკოცონ...

დ. პარიზელა.

საყულის საზოგადოება

ეშმაკთა სამფლობელოში
 სწორ უპოვარო, სარდალო!
 შენი იმედი ისე გვაქვს...
 არ ვიცი, რას შევადარო?!
 აგერ ითხ წელზე მეტია,
 რაც წესწყდა სტვირზე გალობა;
 მტერს ახარბდა, შენმა მზემ,
 დიდი ხნით ნეიტრალობა.
 მაგრამ გაისმა ტაკანი
 მათრახის მოქნილ კულისა
 და მეც ავიღე კალამი,
 გამასწორები ბრუნდისა.
 არ მოვერიდო არავის,
 ფიცს ვსდებ „მათრახის“ კულზედა
 სწორათ შევერისხო ყოველი -
 (კაკარდაც ჰქონდეს ქულზედა)
 ამ ჟამათ მოკლეთ მოგიტობობ:
 საქმე შეგვიდგა ქურდზედა.
 დათას რომ ცხენი მოჰპარეს
 არ გაიცვლება სულზედა.)*

ჩვენ ბოქაული გვეწვია,
 აქვს სახის დაღრეჯილობა:
 — ან ცხენის — ქურდი, ან ციხე...
 ასეთი მოგვცა პირობა.
 ცხრამეტს დავესწარ, მეოცე
 გამომოჩა სოფლის ყრილობა,
 მანეთი მერგო ჯარბობა
 და მწარე გამოცდილობა.
 ვინც ჩვენ ვუჩვენეთ: ყმაწვილო:
 ეს ავაზაკი, თულია...
 ის არ მიიღო, რადგანაც,
 ყრმობაზე გადასულია.
 მეორეს მიტომ იწუნებს,
 რო მოდგმით აზნაურია,
 მართალი მივსცეთ? რასა ჰგავს —
 აბა ეს სადაურია?
 ისეთ დღეში ვართ, მერწმუნე,
 მონაგონია ბელგია,
 მათრახის კულის მოსურნე
 ბევრზედაც უფრო ბევრია.
 კვალად გაუწყებ, თუ როგორ
 გავგინელდება გენია,
 ვინ მოიპარა, პირ-შავმა,
 დავით „ენერლის“ ცხენია?**)

მახინკალე

*) ცხენი და სული, ამ ჟამად ერთგვარათ ფასობს ფულზედა.

**) იხილეთ ამავე ნომერში ლექსი ბ-ნი ეშმაკისა „დავითის მერანი“, სადაც ეს კითხვა საბოლოოთ ირკვევა.

რედ.

Handwritten signature: (P. Koshoni)

„გ ა ნ თ ი ა ლ ე ი“

იყიდება ბ. ეშმაკის მიერ შედგენილი ქართული ქარტები:

I ს ა მ რ თ ა უ რ ი ს ო ო მ ი ს ქ ა რ ტ ა .

- 1) აღმოსავლეთის ასპარეზი: გერმანიის, ავსტრო-უნგარეთისა და რუსეთის საზღვრები.
- 2) დასავლეთის ასპარეზი: გერმანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის და ინგლისის საზღვრები.

ფასი 40 კაპ.

II რუსეთ-ოსმალეთის ომის ასპარეზი.

- 1) ქვემო ეგვიპტე (სუეცის არხით)
- 2) კავკასია (სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრები)
- 3) ოსმალეთი და მისი მეზობელი სახელმწიფოები.

ფასი 50 კაპ.

ვინც თითო ცალს ცალკე გამოიწერს, მან გადასაგზავნი უნდა დაუმატოს 15 კაპ. ხოლო ვინც იყიდის არა ნაკლებ 10 ცალსა, მას ღირებულ ფასზე დაეთმობა 20 პროცენტი და გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ნისიათ და ფაიდადებით ქარტა არავის არ ეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 21. Георгію М. Махарадзе

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ. ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ. 199 Евгению Илларионовичу Урушадзе. კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველკვირეული საზოგადო ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

„კ ლ დ ე“

ფასი: 1 წლით 5 მ. 6 თვ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ. ადრესი: Тифлисъ Габаевскій пер. № 3

ყოველდღიური სალიტ. და საპოლიტ. გაზეთი „სახალხო ფურცელი“

ფასი: წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 50 კ. 3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

ყოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ. ადრესი „Тифлисъ Ред. Театри да цховреба“ Иосифу Имедашвили.

საპოლიტ. სამეცნ. და სალიტერატურო გაზეთი „უაღრესანი“

გამოდის კვირაში ერთხელ, ორშაბათობით.

ფასი: 1 წლით 2 მ. 50 კ. ნახ. წლ. 1 მ. 25 კ. 1 თვ. 25 კ. ცალკე № კაპ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი Тифлисъ Типографія „Сорапанъ“ Александрю Г. Мумладзе

ყოველ თვითური საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კაპ. ადრესი: Тифлисъ, Редак. Журнала „Джеджили“ Артиллерійская ул. № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„თ ე მ ი“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ. ადრესი Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

წლიურ ხელის მომწერლებს პიეცემათ

24 წიგნი ნაკადულისა () 12 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის () მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახევ. წლ. 3 მ. ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წ 3 მ. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.


ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

ომის ილიუსტრაცია

გერმანელთა შპიონი, რომელიც ტენიკის სახელით შეიპარა ინგლისელთა ჰაეროპლანების ქარხანაში და სწავლობს ახალი აპარატების გეგმას.



ომის ილიუსტრაცია



ომის სურათი

რედაქტორ-გამომცემელი—ნ. დ. ჟღენცისა.

Печатать разр. воен. цензурой.

Типогр. Т—ва „Прогресс“, Лорисъ-Меликовск. № 1.